ხელშეკრულება N 1/02-3

კონკურსის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი 23 დეკემბერი 2011 წ.

ერთის მხრივ, „სსიპ – ბათუმის ბულვარი", დირექტორის ივანე ჭეიშვილის სახით, (შემდგომში – "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ შ.პ.ს „აჭარსპეცპროექტი" მისი დირექტორის ჯემალ გოგიტიძის სახით, (შემდგომში _ "მიმწოდებელი"), N230 კონკურსის საშუალებით ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში – ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია ქ. ბათუმის ბულვარში, არდაგანის ტბის მიმდებარედ პლაჟის ტერიტორიაზე, ტრანსფორმირებადი უნივერსალური სპორტული მოედნის (კალათბურთი, ხელბურთი, ფრენბურთი) 250 მაყურებელზე საუკეთესო არქიტექტურული პროექტის (კონცეფცია, ესკიზი) გამოვლენა და შემდგომში გამარჯვებული კონკურსანტის მიერ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო შედგენა. (CPV -კოდი - 71200000)

2. ხელშეკრულები ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს. 4000 (ოთხი ათასი)ლარს.

3. ანგარიშსწორების პირობები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2 წინასწარი ანგარიშსწორება ავანსი არ გამოიყენება;

3.3 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სსიპ „ბათუმის ბულვარი"-ს ტექნიკური ზედამხედველობისა და კონტროლის სამსახურის უფროსი *პაატა აცინბა.*

4.2 მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. მომსახურების გაწევის პირობები ადგილი და ვადა

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურება განახორციელოს N230 კონკურსის საშუალებით საპროექტო მომსახურების შესყიდვის განცხადების ტექნიკური დავალების შესაბამისად. საჭიროების შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს ცვლილებები შეიტანოს პროექტში. ამასთან, მიმწოდებელმა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისას უნდა გაითვალისწინოს შემსყიდველის მითითებები.

5.2 მომსახურების მიწოდების ადგილია: ქ. ბათუმი, კ. გამსახურდიას ქN2.

5.3 მომსახურების გაწევის საბოლოო ვადაა 2011 წლის 28 დეკემბრამდე პერიოდი.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლი მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია გასწიოს მომსახურება სათანადო ხარისხით.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას ახორციელებს სსიპ „ბათუმის ბულვარი"-ს ტექნიკური ზედამხედველობისა და კონტროლის სამსახურის უფროსი *პაატა აცინბა.*

7.2 ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე გაწეული ან გასაწევი მომსახურების ხარისხის კონტროლს.

7.3 ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, ყოველ დაგვიანებული დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0,1 % პროცენტის ოდენობით;

8.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადის გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ფასის 3% პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

8.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზემეტი ოდენობით.

9.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.5 მხარე ვალდებულია 9.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

9.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულება ძალაში შედის 2011 წლის 23 დეკემბრიდან და მოქმედებს 2011 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

„შემსყიდველი"
სსიპ „ბათუმის ბულვარი"
ს/კ: 245630786
მის.: ქ. ბათუმი, კ. გამსახურდიას ქ. #2
ტ: 7 88 08
სს "კორ სტანდარტ ბანკი"
ბ/კ: AGREGE22
ანგ. # GE57KS0000000024173840
სსიპ "ბათუმის ბულვარის" დირექტორი

„მიმწოდებელი"
შ.პ.ს „აჭარსპეცპროექტი"
ს/კ 245427364
მის:ქ. ბათუმი, ზ. გამსახურდიას ქ. N19/21
ტ : 577422250
ს.ს. „საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგ.# GE90BG0000000285162700
შ.პ.ს „აჭარსპეცპროექტის" დირექტორი

---

2. <u>ტექნიკური დავალება</u>

2.1 ბათუმის ბულვარში, არდაგანის ტბის მიმდებარედ პლაჟის ტერიტორიაზე, ტრანსფორმირებადი უნივერსალური სპორტული მოედნის 250 მაყურებელზე გათვლილი

(კალათბურთი, ხელბურთი, ფრენბურთი)

საპროექტო - ტექნიკური დავალება

ბათუმის ბულვარში, არდაგანის ტბის მიმდებარედ პლაჟის ტერიტორიაზე, ტრანსფორმირებადი უნივერსალური სპორტული მოედანი გათვალისწინებულია:

სტანდარტული ხელბურთის მოედნისათვის (ზომით 40 მ. x 20 მ.);

სტანდარტული კალათბურთის მოედნისათვის (ზომით 28 მ. x 15 მ.);

სტანდარტული ფრენბურთის მოედნისათვის (ზომით 16 მ. x 8 მ.);

სპორტული მოედნის საფარი უნდა მოეწყოს მსხვილი ფრაქციის ღორღის დატკეპნილ საფარზე დასხმულ რკინა-ბეტონის ფილაზე სისქით10-12 სმ.

ზემოთ აღნიშნულ ბეტონზე სპორტული მოედანი უნდა დაიგოს ხელოვნური ფერადი კაუჩუკის საფარისაგან. საფარის ფერი ბულვარის ლოგოს გამოსახულებით უნდა შეთახმდეს შემსყიდველთან.

სპორტული მოედანი შემოსაზღვრული უნდა იყოს ბეტონის შებათქაშებული კედლით, ხოლო უნდა შემოიღობოს პოლიეთილენში ამოვლებული მავთულ-ბადით.

ღობის კონსტრუქციაზე უნდა გათვალისწინებული იყოს მოედნის განათებისათვის საჭირო სათანადო სიმძლავრის პროჟექტორები, დროშების სამაგრები. სპორტული მოედნის ღობის სიმაღლე სიგრძეში უნდა იყოს 6 მ., ხოლო სიგანეში (კალათბურთის ფარისა და ხელბურთის კარების მხარეს) - 8 მ.

ასევე სპორტულ მოედანზე უნდა განთავსდეს ელექტრო ტაბლო. სპორტული მოედნისათვის გასათვალისწინებელია მაყურებელთა ტრიბუნა 250 კაცზე. ტრიბუნა უნდა დამონტაჟდეს მეტალის შესაბამისი კონსტრუქციით.

ტრიბუნის სკამები უნდა იყოს სტანდარტული, ჩამოსხმული სხვადასხვა ფერის პლასტმასის მასისგან, როგორც მიღებულია სპორტული მოედნებისათვის.

სპორტული მოედნის მარცხენა მხარეს უნდა მიშენდეს ქალთა და მამაკაცთა გასახდელები, საშხაფეები და საკვანძები.

სპორტული მოედნის საჭირო ინვენტარი უნდა იყოს ტრანსფორმირებადი მოძრავი (კალათბურთის ფარები, ხელბურთის კარებები, ფრენბურთის ბადის ბოძები და სამსაჯო სკამი).

სპორტული მოედანი უზრუნველყოფილი უნდა იყოს წყალმომარაგებით, საკანალიზაციო სისტემით გაზიფიცირებით და ელექტრო მომარეგებით (უახლოესი სატრანსფორმატორო სადგურიდან).

კედლების კონსტრუქცია მოპირკეთებული უნდა იყოს მეტალის თხელ ბადეში შევსებული შერჩეული ზღვის ქვებისაგან. სპორტული მოედნის დამხმარე ნაგებობა (საშხაპე, გასახდელები და საკვანძი) უნდა გადაიხუროს რკინა-ბეტონის ფილით, სათანადო დახრით, რომელზეც დაიგება მეტლახი და შემოიღობება მეტალის დეკორატიული მოაჯირით.

2.2 საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს:

1. ტოპო გეგმა;
2. გეოლოგიური გამოკვლევა:
3. ვერტიკალური გეგმარება;
4. არქიტექტურული პროექტი;
5. კონსტრუქციული პროექტი;
6. ვენტილაცია, სანტექნიკა;
7. ელექტრო ტექნიკური პროექტი (მოიცავს ასევე, ტერიტორიის და მოედნის გარე განათებას);
8. წყალგაყვანილობა.
9. მშენებლობის ორგ. პროექტი;
10. ხარჯთაღრიცხვა;

2.2. საკონკურსო წინადადების ფასში სრულად უნდა იყოს მოცემული კონკურსით გათვალისწინებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი, საავტორო ზედამხედველობა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადები საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დამზადებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით და სტანდარტებით.

2.3. იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების შესრულების პროცესში აღმოჩნდება საპროექტო– სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გაუთვალისწინებელი დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა, ამ დამატებითი საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა განხორციელდება ანაზღაურების გარეშე.

2.4 პროექტირების პერიოდში საპროექტო დავალებით გაუთვალისწინებული სამუშაოების დაპროექტების საკითხი ზეპირი სახით თანხმდება შემსყიდველთან.

ADJARSPETSPROEKT GEORGIA AUTHORA A.R. LTD
№ 245427354

ფასების ცხრილი ყველა გადასახადებისა და დღგ ჩათვლით

პრეტენდენტის დასახელება ---------- შპს „აჭარსპეცპროექტი“

№	დასახელება	რაოდენობა	ღირებულება	შენიშვნა
1	2	3	4	5
1	საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია	4	4000	

პრეტენდენტის ხელმოწერა ———————————— ჯემალ გოგიტიძე